საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

ხუთშაბათი, 11 დეკემბერი 1919 წ. № 222.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვეული ეკუყენ

რედაქცია (ღია 9—2 და 5—7).

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის აღრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ადმინისტრაცია (ღია 9—2 და 5—7).

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 3 მ. უკანასკნელზე 2 მ. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ 75 მ., 12 საათის შემდეგ 100 მ.

კვირას, 14 დეკემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

საზოგადო კრება.

მოხსენებებს სხვა და სხვა საკითხებზე გააკეთებენ: კომიტეტის თავმჯდომარე ალ. თორაძე, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ვ. წერეთელი, და საბჭოს ფრაქციის თავმჯდომარე ტრ. ჯაფარიძე. ამის შემდეგ მოხდება ქალაქის კომიტეტის წევრების არჩევნები. კრების ადგილი ხვალის ნომერში იქნება გამოცხადებული.

განცხადება.

ქალაქის ბიბლიოთეკა, რომელიც დღემდის დაკეტილი იყო, მისი ახალ ბინაზე გადატანის გამო, გაიხსნება ამა წლის 11 დეკემბერს. ბიბლიოთეკა ღია იქნება დილის 9 საათიდან 3 საათამდი.

თანახმად ქალაქის გამგეობის დადგენილებისა მკითხველებს ჯერჯერობით წიგნები შინ წასაღებათ არ მიეცემათ. ბიბლიოთეკა მოთავსებულია პუშკინის ქუჩაზე წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის შენობაში.

(1—1). **ქალაქის ბიბლიოთეკის გამგე მ. ჭუმბურიძისა.**

ქუთაისში ტყავეულობის ჯარხანა რიონი

აცხადებს: ერთი ამხანაგთაგანი თავის სურვილით გავიდა ამხანაგობიდან, სერგო წყალობას ძე სამთელაძე, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ამხანაგობა „რიონთან“. (2—1).

განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს ქვემო ჩამოთვლილ სავაჭროებისა და სამრეწველოების პატრონებს გამოცხადდენ გამგეობის დარბაზში თავიანთ წრიდან კომისიების ასარჩევათ, რომელთაც დაევალება ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული სანიტარული გადასახადის გადამხდელებზედ გაწერა (იხ. საქ. ქალ. და მაზრ. ერობ. სასარგ. ერთდრ. სანიტ. გადას. შემ. დეკრეტის მე 2 მუხლი) გაწერა უნდა მოხდეს ქვემო აღნიშნულ რიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში. უკეთუ რომელიმე დარგი უარს განაცხადებს გადასახადის განაწილებაზე, ან მათ მიერ განაწილების ნორმებს ქალაქის გამგეობა არ დაეთანხმება, მაშინ თვით გამგეობა განაწილებს თავის მოსაზრებით გადასახადს, რომელიც გადამხდელებს უდაოთ გადახდება.

11 დეკემბერს, დღით ხუთშაბათს, 1 საათზე.

1. ბამბით და მატყლით სავაჭროები, საბნის მკერავები და გადამკვრელები (обойщикъ).
2. ბეჭდების და შტემპელების სახელოსნოები.
3. ტანმოსაცმელების (закройщикъ), ევროპიული ტანსაცმელის მკერავები და თერძები.
4. ფალაქები და პარიკმახერები.
5. ადგილობრივი შალით მოვაჭრენი.
6. ზეინკალი, ხარატი, იარაღის სახელოსნო, კავკასიური მაღაზია და მკალავები.

12 დეკემბერს, დღით პარასკევს, 1 საათზე.

7. თამბაქოს მაღაზია.
8. კარეტნიკი, მეეტლე, ნალბანი და შორნიკი.
9. კარსეტების და ქალის შლიაპების, მოდის და ქუდების სახელოსნო.
10. ცივი სასმელებით სავაჭრო.
11. კუბოს მაღაზია და სტოლიარების სახელოსნო.
12. მექანიკური და ელეკტრონული სახელოსნო.

15 დეკემბერს, დღით ორშაბათს, 1 საათზე.

13. სავაჭრო და სამრეწველო შენობების პატრონები.

ქალაქის გამგეობა.

უსურსათობა და უშუქობა.

ტყეებისა და სიმინდის ცენტრში რომ არც სიმინდია და არც შუშა, ეს, რასაკვირველია, უსიმინდობისა და უშუქობის ბრალი არ არის.

მართალია, წელს მოუსავლობა იყო, მაგრამ სოხუმის მხარეში იმდენი სიმინდი კია, დასავლეთ საქართველოს რომ ეყოფა.

აღმოსავლეთი საქართველო კი ნაკლებად დამშეულია.

იმავე დროს კახეთის გაღმა მხარეს—კაბალს—ოთხასი ათას ფუთამდის ექნება ზედმეტი სიმინდი.

მაშ რაა მიზეზი, ქუთაისში რომ სიმინდი ოცდახუთ თუმნად ღირს ფუთი, და უეჭველია ეს ფასი კიდევ უფრო აიწევს?!

აი რა: სოხუმის მხარის ეროვნულმა საბჭომ სიმინდი სოხუმის მხარის საზღვრებიდან არ გამოუშვა!

არც საკვირველია: გაბატონებული პარტიის პოლიტიკის წყალობით სოხუმის ეროვნული საბჭოს არჩევნებში უცხოეთის ქვეშევრდომებმა მიიღეს მონაწილეობა, რომელთა შორისაც ბევრია საქართველოს მტერი.

მეორე: დამოკიდებულება საქართველოსა და აფხაზეთს შორის ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

საჭირო კი იყო, დამფუძნებელ კრებას ეს საკითხი საჩქაროდ გადაეჭრა...

ყოველ შემთხვევაში ვერავითარი კონსტიტუცია ვერ მიანიჭებს აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს უფლებას, საქართველოსა და აფხაზეთს შორის გაუვალი ეკონომიური ზღუდე აღმართოს.

ასე მოიქცა სილნაღის ერობაც!

ჩვენში სამწუხაროდ, ჯერ ისეა ყველაფერი მოუწყობელი, რომ თვითოეული პატარა კუთხე თავის თავს დამოუკიდებლად აცხადებს და საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან თავისუფალ ვაჭრობას ზღუდავს.

ერთი სიტყვით, რამდენი ერობაც არის, იმდენი რესპუბლიკაა!

მაგრამ ეს ხომ საშუალო საუკუნეთა ხანას მოგვაგონებს?!

სილნაღს არ შეუძლია სთქვას: რაც ნაღში მოვიდა, სილნაღშივე უნდა დარჩესო.

თვარა მაშინ ხომ შორაპანსაც ექნებოდა უფლება სთქვა: „შავი ქვა“ მარტო შორაპნის მაზრაშია. ამიტომ ამ მადნის ღირებულება მარტო შორაპნის მაზრამ უნდა მოიხმაროს!

და განა სოხუმის მხარეს საქართველოსაგან ცოტა რამე ეძლევა?!

დიაღ! მთავრობამ საქართველოს საზღვრებში თავისუფალი ვაჭრობა უნდა გამოაცხადოს.

თვინიერ ამისა სოხუმის მხრის სიმინდი კონტრაბანდათ ოსმალეთში გავა.

დასასრულ, ერთს დამოუკიდებელ რესპუბლიკას რკინის გზაც წარმოადგენს.

ჭუთაისის ქალაქის თავის მოადგილემ საბჭოს 8 დეკემბრის სხდომაზე განაცხადა: მინისტრს ხუმარაც ეუკვირდა, როცა მოვახსენეთ, რკინის გზა ერთი ვაგონის მიყვანაში ნოტანების შეშის აწყობთან მვიდას თუ მანს გვახდევინებსო.

გზათა მინისტრმა არ იცის, რკინის გზის წესები!

რკინის გზა აწესებს ასეთს სატრანსპორტო ტარიფს გზათა მინისტრის დაუკითხავად!

ეს—ყოვლად შეუწყნარებელია.

და უეჭველია: ის სახელმწიფო, რომელშიაც ამდენი დამოუკიდებელი კუთხე და დაწესებულებაა, ვერ იცოცხლებს, თუ არ გაერთიანდა.

მაშ საქართველოს შეკრება და გაერთიანება ჯერ კიდევ არ დასრულებულა

აი აქ არის უსურსათობის, უშეშობისა და ყოველისავე მოუწყობლობის სათავე.

ვასილ წერეთელი.

გიორგი გუჯეჯიანის დაჯერ ს გამო.

რისთვის დაიჭირეს გიორგი გუჯეჯიანი? რა დაუშავა?

კარგად ვიცნობ და ვიფიცავ სინდისს: გუჯეჯიანი ყოველთვის გმობდა კანონის დამრღვეველს.

მეტადრე დღეს, როდესაც ბოლშევიკური მღელვარება კიდევ არ ჩაწყნარებულა, გიორგი გუჯეჯიანისთანა კაკები საჭირო არიან.

ის—ყოველივე ბოლშევიკური გამოსვლისა და საზოგადოდ ყოველივე ამბოხების მტერი იყო.

და ხალხს ურჩევს: ყოველი მოქალაქე მოვალეა გადიხადოს კანონით

დღიური.

ქ. რომში იტალიის მუშებმა განაცხადეს, რომ არ იმუშავებენ რუსეთისათვის სამხედრო მასალების დასამზადებლად. ამის გამო რომის ქუჩებში ტყვიისმფრქვეველები დგას.

კამიშინის მიმართულებით ბოლშევიკები დამარცხდენ.

კიევის რაიონში მოხალისეთ ვიშგორდი და სხვა სოფლები აიღეს.

იუდენიჩის არმიის უმეტესი ნაწილი ესტლანდიაში გაიქცა.

დაწესებული გადასახადი და დაემორჩილოს კანონს.

და, ამისდა მიუხედავად ის დაიჭირეს და საველე სამართალში მისცეს.

დამფუძნებელი კრების წევრებმა და რედაქციებმა მისგან დეპეშა მიიღეს: მხოლოდ მიტომ დამიჭირეს, რომ ჩონთოში საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობა მივიღე და ეროვნული დემოკრატების გამარჯვებას ხელი შევუწყვეო.

მაგრამ როდის აკრძალეს საარჩევნო ბრძოლა? და თუ აკრძალეს, არჩევნები რა-ღა საჭიროა?!.

საჭიროა ყურად იღოს, ვისგანაც ჯერ არს.

საჭიროა ახლავე თადარიგი, რომ უდანაშაულო კაცი არ დაისაჯოს.

საქმე მეტად სამძიმო და სასწრაფოა.

კვერი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

საჩხერიდან გიორგი გუჯეჯიანისაგან მივიღეთ დეპეშა: გვარდიის შტაბს ოსეთში მივყავარ. საველე სამართალში ვარ მიცემული. მდგომარეობა საშიშარია.

—

ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის კომიტეტმა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრსა და ეროვნულდემოკრატიულ ფრაქციას შემდეგი დეპეშა: საარჩევნო კამპანიის დროს შეპყრობილი გიორგი გუჯეჯიანი საველე სამართალში მისცეს; ოსეთში მიჰყავსთ. მოსალოდნელია უსამართლობა.

ქუთაისის ქალაქის 1919 წლის ხარჯთ აღრიცხვა. ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის 1919 წლის ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შემოსავალ-გასავალი გარდა სასურსათო განყოფილებისა უდრის 13. 397. 619 მანეთსა და 56 კაპეიკს. აქედან 4 მილიონი სესხი არის, დანარჩენი კი სხვა და სხვა შემოსავალი. 1919 წლის განმავლობაში ქალაქს 9 მილიონი მანეთით მეტი დახარჯვია ვინემ 1918 წელში.

ქალაქის მოურავი. ქალაქის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე რამდენიმე ხმოსანმა წინადადება შეიტანეს, რომ საჩქაროთ არჩეულ იქნეს ქალაქის მოურავი.

სიმინდისა და შეშის საკითხი. როგორც მკითხველებმა იციან მოქალაქენი დიდ გაჭირვებას განიცდიან უშეშობითა და უსიმინდობით. ამის გამო ქალაქის 9 დეკემბრის სხდომაზე ხმოსანმა ალ. თორაძემ შეკითხვა შეიტანა თუ რას ფიქრობს ამის შესახებ ქალაქის გამგეობა და რა მდგომარეობაში არის საქმე. გამგეობამ სანუგეშო ვერაფერი სთქვა. საბჭომ დაადგინა ამ საკითხის გამოსარკვევათ დაინიშნოს საგანგებო კრება 13 დეკემბრისათვის.

ორი გემი სიმინდი. მიწათმოქმედების მინისტრმა ნ. ხომერიკმა ქუთაისში ყოფნის დროს განაცხადა რესპუბლიკის მთავრობამ ამერიკის მისიასთან ხელშეკრულება დასდო: რომ საქართველოს საჭიროებისათვის შემოზიდული იქნება ორი გემი სიმინდი. ეს სიმინდი დეკემბრის დამლევამდის იქნება შემოზიდული არგენტინიდან.

გვარდიის დღესასწაული. 12 დეკემბერს, როგორც საქართველოს სხვა ადგილებში გაიმართება გვარდიის 2 წლის დღესასწაული. ქალაქის საბჭომ დღესასწაულის ხარჯების დასაფარავად გადასდო 10000 მანეთი.

შეწირულება: ახლად გარდაცვალებულ თავის ახალგაზრდა შეილის პეტიას ხსოვნის აღსანიშნავათ მ. ხეილ მოშიაშვილმა შესწირა 17.500 მან. სხვა და სხვა საზოგადოებისა და კულტურულ დაწესებულებათ:

1. ქუთაისის კოლეგიურ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ, სადაც განსვენებული სწავლობდა - 2000 მან.
2. ვაჟთა ქართულ მე 2 რე გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგ. 1000.
3. ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 2000 მ.
4. ქუთაისის გაზეთებს: „ჩვენ ქვეყანას“ 500 მან. „სოციალ-დემოკრატს“ 500 მან. და „ხმა ებრაელისა“ 500 მან.
5. ქუთაისში ქართველ ისრაელთათვის დასაარსებელ საავადმყოფოს ფონდს — — — — 2000 მან.
6. თალმუდ-თორას 3000 მან.
7. ბიკურ-ხოლიმს. (ავადმყოფ ღარიბ ისრაელებს). — 1000 მან.
8. ღარიბებისთვის დასახმარებლად. — — — — 2000 მან.
9. სალოცავებისათვის 1000 მან.
10. მიკვას-ტებილას 1000 მან.
11. სოხუმის სალოცავს 1000 მან.

სულ 17.500 მან

შეპყრობის დადგენილება. ქუთაისის მაზრის მმართველმა დაადგინა: ილარიონ მგელიძე რომელსაც ბრალი ედება ბათუმიდან ყალბი ბონების ჩამოტანაში და გასაღებაში, დატუსაღებულ და ციხეში მოთავსებულ იქნეს.

მილიციის უფროსმა დაადგინა, ქალაქში უმიზეზოთ რევოლვერის გასროლისთვის მოთავსებულ იქნას საგუბერნიო ციხეში ეტიფანე გიორგისძე რუსაძე ერთი თვით ადმინისტრაციის ინსპექტორის თანა შემწემ ვადა დატუსაღების, სამ თვემდე გაადიდა.

ბესარიონ არჯევანიძის დატუსაღება. ბესარიონ სიმონისძე არჯევანიძე, ქალაქში უწესოების მოხთენისათვის 15 დღით მოთავსებული იქნა საგუბერნიო ციხეში.

სერგო ვაშაკიძის და ნინა ჯღამაძის დატუსაღება. მილიციის უფროსმა ს. ვაშაკიძე და ნ. ჯღამაძის ასული დაატუსაღა და ციხეში მოათავსა, რადგან იგინი ინახავდენ მთავრობიდან დევნილ ბოლშევიკ სპირდონ ვაშაკიძეს.

ქურდობა. ვაგზლის ქუჩაზე ბოროტ გამზრახველებმა გატეხეს დუქანი, წაიღეს ორი ნოხი 12,000 მან. ღირებული.

თეატრი. ხვალ 11 ნოემბერს, ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება სურგუჩოვის „შემოდგომის ჰანგები“.

დაკარგვა. იულია ისიდორეს ასული ქავთარაძე, სთხოვს იმ პირს, რომელმაც იპოვნა მის მიერ დაკარგული პორტმანი სამასი მანეთით და ვერცხლის აბაზიანით, დაუბრუნოს მას შემდეგი მისამართით: ძველი ლაგირის ქუჩა, ისიდორე ქავთარაძის სახლი.

საქართველოს მისსიების მუშაობა აღმოსავლეთში და მდგომარეობა ოსმალეთში

გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილია ინტერვიუ ი. გოგოლაშვილთან. მოგვყავს შემოკლებით.

ყალბი ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

პირველ კითხვაზე ჩვენი მისსიების მუშაობის შესახებ საზღვარ-გარედ ბ-ნმა გოგოლაშვილმა შემდეგი განაცხადა: დელეგაციის ჩასვლისთანავე ცხადი გახდა, რომ კონსტანტინეპოლი უდიდესი ცენტრია აღმოსავლეთის საკითხებისთვის და კერძოთ ჩვენთვის, რომ იგი სდევს გზა ჯვარედინზე ჩვენი მომავალი ეკონომიური ურთიერთობისა ევროპასთან. აქ საქართველოს მტრების მიერ, იმდენად მოშხამული იყო ატმოსფერა ყალბი ინფორმაციით, რომ ადგილობრივი პრესა და საზოგადოებრივი აზრი მტრულად იყო ჩვენდამი განწყობილი. აქედან კი, ეს ყალბი ინფორმაცია უცხოელ გაზეთების კორრესპოდ. საშუალებით იფანტებოდა ყველგან საზღვარ-გარედ. ჩვენი ხალხისა და მთავრობის შესახებ ისეთი ყალბი ცნობები ვრცელდებოდა, რომ საზღვარ-გარედ წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენზე ვით ველურებზე, სადაც გარდა ხოცვისა, სომხების ჟლეტისა და შევიწროებისა კაცი ვერას ნახავს. საკმაოა მოვისმინოთ ადგილობრივ პრესაში დაბეჭდილი ცნობები:

1) ჩამოვიდა „dèlègation indësiradle“-ო. სწერდა გაზეთი „რენესანსი“.

2) რომ „ყარსი განგებ ჩააბარა ჩხენკელმა ოსმალებს“-ო.

3) რომ, ჩვენ „გერმანელების შემწეობით ვანადგურებდით კავკასიის სხვა ერებს, რომელნიც ებრძოდნენ გერმანელებს და ანტანტის მომხრენი იყვნენ“.

4) რომ აზერბაიჯანიდან გადმოხვეწილ თათრებს ქართველები ჰხოცავენ შიმშილით 5) რომ „ღენერალი ოდიშელიძე ოსმალების მოკავშირე იყო“ ფ. სხვ. ...

საქართველოს დელეგაციისა და მისსიების მუშაობა.

გარდა კონსტანტინეპოლისა უმთავრეს მუშაობას აწარმოებენ: ჩვენი დელეგაცია პარიზში საზავო კონფერენციასთან, მისსიები, ლონდონში, შვეიცარიაში, გერმანიაში და იტალიაში: არა მარტო კონსტანტინეპოლში იყო ცუდი ატმოსფერა, მით უმეტეს საფრანგეთში. ჩვენს დელეგაციას ამ მხრით დიდი მუშაობა დასჭირდა, რომ გაექარწყლებინა ყალბი ინფორმაციით შექმნილი დამოკიდებულება ჩვენდამი და შეექმნა ფაქტების შესაფერი მეგობრული თუ არა, სამართლიანი მაინც... ამ ჟამად ჩვენმა დელეგაციამ არამც თუ გააბათილა ყალბი ინფორმაციით შექმნილი განწყობილება ჩვენდამი, არამედ ჩვენდამი ისე მტრულად განწყობილი საზოგადოებრივი აზრიც კი გარდაქმნა, როგორც საფრანგეთის. პარიზში ჩვენი დელეგაციის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ნაყოფიერიცაა. ამ ბოლო ხანს ისეთი გაზეთიც კი როგორც ოფიციოზი „le témps“ საოცარ ფავორაბელურ წერილებს ბეჭდავს ჩვენს შესახებ.

დელეგაციის თავმჯდომარეს და წევრებს დიდ პატივსა სცემენ ამ ჟამად. ისინი ყველგან მიღებულნი არიან და მათ ანგარიშს უწევენ, მართლაც მისი ღვაწლი და შრომა ისე თალსაჩინოა, რომ დავიწყება ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელია. ეს მისსიებიც ოფიციალურ ნიადაგზე სჯგანან, მათ დიდის პატივით ეპყრობიან და პატივსა სცემენ.

როგორც პარიზში, აგრედვე შვეიცარიაში გამოდის საქართველოს საინფორმაციო ბიულეტენები ყველა უცხო ენაზე.

იტალიაში მისსია ეხლახან წავიდა და თუ გადაათვალიერებთ იტალიურ გაზეთებს განურჩევლად მიმართულებისა, ნათლად დაინახავთ, რომ იტალიელები საუცხოოდ შეხვდნენ ჩვენს მისსიას.

ოსმალეთის ეხლანდელი მდგომარეობა.

ოსმალეთის მდგომარეობა თანდათან გამოკეთდა. ეს მით აიხსნება, რომ ოსმალებმა მთელი თავისი დიპლომატიური ხერხი იხმარეს. ერთი ცხადია, რომ ეხლა ოსმალეთის, არამც თუ სრულიად მოსპობაზე მისი ტერიტორიის დანაწილებაზეც აღარაფინ ჰფიქრობს. ოსმალებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ ბერძნების ოკუპაციას არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდებიან.

შინაური მდგომარეობა ოსმალეთისა, არ არის ცუდი „დევე პუბლიე“ განაგებს მის ფინანსებს და არასდროს კრიზისამდე არ მიიყვანს. ოსმალთა ფინანსების საქმე კარგადაა, რადგან ქალალდის ფულიომის დროს დიდის ანგარიშითაა გამოშვებული.

ოსმალეთი და სომხეთი.

ერთი ცხადია, რომ ოსმალეთი ძლიერ წინააღმდეგობას უწევს მის ტერიტორიაზე დიდი სომხეთის შექმნას. რასაკვირველია კავკასიისადმი დამოკიდებულება იმით განიზომება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელავ იცოცხლებს ოსმალეთის მომ-
ელ ძალებში პანთურქიზმი და პა-
თურანიზმი, ომის დროს აღმოცე-
ებული, თუ ამას თავს დაანებებენ:
ამამად კი, ოსმალების ოფიციალი
ერეები გრძნობენ, რომ მათთვის
ავკასიის ძლიერი ბუფერის შექმნა
ალიდი მნიშვნელობა ექნება და ამის
ელის შეწყობის წინააღმდეგნი არ
რიან.

საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამ ბოლო დროს სწორედ ისე
დგას ჩვენი საკითხი, რომელსაც სა-
ლვარგარეთ თანდათან უფრო მეტს
ურადღებას აქცევენ და არ კმაყო-
ილდებიან ყალბი ინსპირატიულ.
ნფორმაციით, როგორც აქამდეი
საფრანგეთის პოლიტიკაც კი, რო-
ელიც ჩვენი საკითხებისადმი მხო
ლოდ დიდი რუსეთის აღდგენას ემ-
ყარებოდა, ამ ჟამად ხდება ტრანს-
ორმაცია საზოგადოებრივი აზრისა.
ამ ჟამად საზღვარ გარედ ჩვენი საკით-
ხები ძლიერ კარგად ხდგას. მხოლოდ
საჭიროა კვლავ ცდა რამდენიმე ხნით.
ამისათვის კი აუცილებელია შეეგ
ნოთ რომ ჩვენი გარეშე პოლიტიკა
კი არა ჰქმნის ჩვენ დამოუკიდებლო-
ბას, არამედ შინაური ორგანიზაცია
და მუშაობა. საჭირო დონეზე დაა-
ყენეთ ფინანსიური და ეკონომიური
მხარეები ჩვენი ქვეყნისა და მერწმუ-
ნეთ, ვერავითარი გარეშე ძალა ვერ
წაგართმევთ იმ დამოუკიდებლობას,
რომელიც უკვე ყოველის ქართვე-
ლის სისხლში და ხორცში გამჯდა-
რია. თუ კიდევ დარჩა ისეთი „ურწ
მუნო თომა“, რომელიც ეჭვით უყუ-
რებს ჩვენ დამოუკიდებლობას, იმა-
ნაც ბოლოს უნდა ირწმუნოს, რომ
გთავდა. ჩვენ ვართ უკვე დამოუკი-
დებელნი, არავის შევცქერით და
მთელი ჩვენი მუშაობა გამომდინა-
რეობს ამ ჩვენი დამოუკიდებლობის
შემეცნეისაგან. ჩვენში არ უნდა
მოიპოვებოდეს არც ერთი კაცი, რო-
მელიც ელის სხვის მიერ ჩვენ ცნო-
ბას. ჩვენი დამოუკიდებლობა უნდა
აცნობოს ყველას ჩვენმა შინაურმა
მუშაობამ და ორგანიზაციამ.

უცხოეთი

რუსეთი.

ფულის ახალი ნიშნები.

რუსეთის მთავრობამ შეუკვეთა ლონ-
დონში სხვა და სხვა კუპიურები. ფუ-
ლებზე სურათი დახატეს ინგლისის
მხატვრებმა, სურათი ახალგაზრდა ქა-
ლის სახით აღორძინებულ რუსეთს
გამოხატავს.

**რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეე-
ბი საზღვარ-გარეთ.**

ამ ჟამად საზღვარ-გარეთ რუსეთის
შემდეგი პოლიტიკური მოღვაწენი
იმყოფებიან:

პეტრე მილიუკოვი ლონდონში
ცხოვრობს და ამთავრებს თავის შრო-
მას: „ბოლშევიკების გავლენა კულ-
ტურაზე“. მოკლე დროში ის ამერი-
კაში აპირებს გამგზავრებას. მ. ვინა-
ვერი, ყირიმის მთავრობის ყოფილი
წევრი, პარიზში ვექილობს. ვ. ნა-
ბოკოვი ლონდონში იმყოფება იგი
კოლჩაკმა იუსტიციის მინისტრად
მიიწვია.

კერენსკი ლონდონში ცხოვრობს,
სავინკოვი პარიზში. მეფის მთავრო-
ბის ფინანსთა ყოფილი მინისტრი
ბარკი პარიზში იმყოფება და ამირ-
ბარ კოლჩაკის დავალებით მოლაპა-
რაკებას აწარმოებს.

„ნარკომ“ ორჯონიკიძე.

უკანასკნელ ცნობებით, მოსკოვის
სოვნარკომში შესულა სამხრეთ რუ-
სეთის და ჩრდილო-კავკასიის ყოფი-
ლი ბოლშევიკების კომისარი „ამხა-
ნაგი“ ორჯონიკიძე. ერთ დროს მას
ჰქონდა რეზიდენციად ჰიატიგორსკი,
სადაც იგი იყო ჩრდილო-კავკასიის
თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ.

უკრაინა.

პეტლიურას დამალვა რუმინეთში.

რუმინული გაზეთები იუწყებიან,
რომ უკრაინის რესპუბლიკის მეთაუ-
რი პეტლიურა, მინისტრები და გე-
ნერალური შტაბი იმალებიან რუ-
მინეთში გენერალ დენიკინის დევ-
ნისაგან.

ქალაქის საბჭო.

9 დეკემბრის სხდომა.

საბჭოს სხდომა გაიხსნა ქალაქის
თვითმართველობის დარბაზში საღა-
მოს 7 საათზე. დაესწრო 23 ხმო-
სანი.

თავმჯდომარეობს გ ქორქა-
შვილი.

მდივანი კითხულობს წასული
სხდომის ოქმს, რაც საბჭოს მიერ
დამტკიცებულ იქნა.

სანამ დღის წესრიგის გარჩევას
შეუდგებოდენ თავმჯდომარე აცხა-
დებს რომ ერ. დეიოკრატიული პა-
რტიიდან ხმოსნობას თავს ანებებს
გრ. დადიანი, მის ადგილს იკავებს
შემდეგი კანდიდატი სერ. მეძმარია-
შვილი. სოც. დემოკრატიულ პარ-
ტიიდან ხმოსნობას თავს ანებებს
ვლად. ქუთათელაძე და კოსტავა,
მათ ადგილებს იკავებენ თ. ინჯია
და ამირალოვი.

დღის წესრიგის გარეშე ქალაქის
თავის მოადგილე სერ. რობაქიძე
აცხადებს:

სატარიფო პალატიდან დადგენი-
ლება მოგვივიდა, რომ აგვისტოს
პირველი რიცხვებიდან. მუშა მოსა-
მსახურებს მოემატოსთ 20% ჯამა-
გირისა, რაც საბჭომ უნდა დაადას-
ტუროს.

გვარდიის 2 წლის თავი.

ქალაქის თავის მოადგილე საბ-
ჭოს მოახსენებს, რომ 12 დეკემბერს
სრულდება 2 წელიწადი, რაც საქა-
რთველოს რესპუბლიკაში დაარსდა
სახალხო გვარდია. ამ დღემ დღესა-
სწაულის სახე მიიღო. იდღესასწაუ-
ლეს შარშან და განზრახულია წელ-
საც იდღესასწაულონ. ამისთვის ქუ-
თაისში არის არჩეული კომისიები
სადაც შედიან სხვა და სხვა ორგა-
ნიზაციების წარმომადგენლები.

ხარჯები დღესასწაულისა ორგა-
ნიზაციებმა უნდა იკისროს. შარშან
ქალაქის თვითმართველობამ გაიღო
თავისი წვლილი და გამგეობა წელ-
საც ფიქრობს გადახადოს 10.000
მანეთი, რასაც შუამდგომლობს
თქვენს წინაშე დაადასტუროთ. ამა-
სთანავე ქალაქის გამგეობას მოუხ-
დება წვრილი ხარჯები გასწიოს ხი-
დებისა და სხვა ადგილების მოსარ-
თავათ.

საბჭომ როგორც პროკურენტების
მომატება, ისე გვარდიის დღესასწა-
ულისათვის ფულის გადადება და-
ადასტურა.

სალიკვიდაციო კომისია.

საბჭომ აირჩია ქალაქის დაწესე-
ბულებათა სალიკვიდაციო კომისია,
რომელშიდაც შედიან ბარ. მოსეშვი-
ლი, ი. მანდარია და მიხ. ჩხენკე-
ლი.

დღიურის გადასინჯვა.

გამგეობის სახელით სერ. რობაქი-
ძე აღნიშნავს რომ, როდესაც გამ-
გეობის წევრები ან მოსამსახურეები
სადმე იგზავნებოდენ, მათ ეძლეო
დათ დღიური, მაგრამ ეს დღიური
ისე მცირე იყო, რომ ბოლოს მოსა-
მსახურეები საქმეებზე წასასვლელად
სხვა და სხვა ადგილებში აღარ თან-
ხმდებოდენ, მაგრამ გამგეობას არ
შეეძლო საბჭოს დაუკითხავათ დღი-
ური გაედიდებია. ეხლა კი გამგეო-
ბა ფიქრობს: რადგანაც მოსამსახუ-
რეები დაზარალებულნიარიან მოემა-
ტოსთ მათ 1 მაისიდან 1 ნოემბრამ-
დის 50% და 1 ნოემბრიდან 10%.
აგრეთვე სიპასუხისმგებლო საქმეებზე
გაგზავნილ მოსამსახურეებს მიეცესთ
დღიური იმ რაოდენობისა, რაც ქა
ლაქის გამგეობის წევრებს ეძლევათ.

ალ. თორაძე: ამბობს, რომ შეი-
ძლება ეს პროკენტები დიდ რამეს
არ წარმოადგენდეს, მაგრამ ჩვენ ნუ
დაგვჩემდება უკანა რიცხვებიდან ჯა-
მაგირების მომატება. შეიძლება დღი
ურის რაოდენობა მცირე იყო, მაგ-
რამ თუ კი მოსამსახურეები საქმეებ
ზე მიდიოდენ არსებულ დღიურებს
ღებულობდენ, და პრეტენზიებს არ
აცხადებდენ, რ.დ უნდა გავსწიოთ
ზედმეტი ხარჯები, როდესაც ქალა
ქის თვითმართველობის კასა ისედაც
ცარიელი არის.

ხმოსან თორაძეს წინანადადება შე
ქვს რომ დღიური 100 პროკენტით
1 ნოემბრიდან გადიდდეს.

სერ. რობაქიძეს ცნობები მოჰ
ყავს რომ ივნისში, ივლისში, აგვის-
ტოში და შემდეგ თვეებში გაგზავ-
ნილ მოსამსახურეებს დღიური არ
ჰყოფნიდათ და ხშირად შიმშილობა
უხდებოდათ.

ს კილაძეს სოც. დემოკრატიუ-
ლი ფრაქციის სახელით წინადადება
შემოაქვს რომ დღიური 100 პრო-
ცენტით გადიდდეს 1 ოქტომბრიდან.

ხმოსნები საყვედურს უცხადებენ
გამგეობას: თუ ასეთ ცუდ მდგომა-
რეობაში იყვნენ სხვა და სხვა საქ-
მეებზე გაგზავნილი მოსამსახურეები,
რატომ დღემდის არ წარმოუდგინა
საბჭოს გასახილველათ დღიურის მო-
მატების საკითხი,

აგრეთვე გამოითქვა აზრი რომ დღი-
ური უნდა მიეცესთ ცოტა ხნით გაგ-
ზავნილები კი ხვანაირად უნდა იქ-
ნენ დაჯილდოებულნი.

ხმ. ტრ ჯაფარიძე: ჩვენ რომ
დღიური დავადასტუროთ ეს დღიუ-
რი კი არ იქნება, არამედ თვიური
და თვიური წლიურად გადაიქცევა.
არის ისეთი თანამდებობის პირები,
რომელნიც მთელის თვეებით მიდი-
ან საქმეებზე. ასეთი მოსამსახურეები
უნდა გამოვყოთ და მათ თვიური
ჯამაგირები დავუნიშნოთ. თორემ
მათ თუ მივეცით ჯამაგირები და კი-
დევ დღიურები ამას ვერ შევსძლებთ.
დღიური უნდა მივცეთ ვინც ცოტა
ხნით მიდის, ხოლო ვინც დიდი
ხნით მათ განსაკუთრებულ ჯამაგირ
უნდა დავუნიშნოთ.

კამათის შემდეგ გადის სოციალ
დემოკრატების წინადადება. აგრეთვე
მიღებულ იქნა გამგეობის წინადადე-
ბა, რომ სიპასუხისმგებლო საქმეებზე
გაგზავნილ მოსამსახურეებს მიეცესთ
დღიური იმ რაოდენობით, როგორც
გამგეობის წევრებს.

**შრომის ბირჟის თავმჯდომარის და
გამგის არჩევა.**

საბჭომ შრომის ბირჟის თავმჯდო-
მარეთ აირჩია გ. კაპანაძე და გამგეთ
ტ. სულავა.

1919 წლის ხარჯთ აღრიცხვა.

ქალაქის გამგეობამ 1919 წლის
ხარჯთაღრიცხვა განსახილველათ და
დასამტკიცებლად 9 დეკემბერს წარ-
მოადგინა, რამაც ხმოსანთა შორის
უკმაყოფილება გამოიწვია. გამოითქვა
აზრი რომ ხარჯთაღრიცხვა გადაეცეს
სარევიზიო კომისიას. კამათის შემ-
დეგ ხარჯთ-აღრიცხვაც დამტკიცებულ
იქნა.

კრება დაიხურა საღამოს 11 საა-
თზე.

X.

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

ანტონ ბიბილოვს, ხაშურის სტამ-
ბაში, ორი ქართული წიგნი გამოუ-
ცია: 1. „საუბარი სოფლელ ოსებ-
თან“ და 2. „საქართველოს დემო-
კრატიის ნაბიჯი რევ. მსვლელობაში
და რევ. სიმღერები“.

უკანასკნელ წიგნში მოთავსებუ-
ლია წერილი: 1. საქართველოს და-
მოუკიდებლობის გამოცხადება, 2.
საქ. დემ. და მეზობელი ერები, 3.
ჩვენი პარტიის სახელის შეცვლა, 4.
აგრარული საკითხი და გლეხები, 5
„რვა საათის სამუშაო დღე“, 6. ამ.-
კავკ. მუშ. კლ. შეერთება-შეკავში-
რება და 7. რევოლიუციონური სიმ-
ღერები, (მარსელიოზა).

—

როგორც სჩანს წერილებიდან, ამ
წიგნების დამწერი უნდა გახლდეთ
ანტონ ბიბილოვი, ანუ ბიბილაშვი-
ლი, ოსი, ჯავის ხეობელი უნდა იყოს.
ეს წიგნები ჩვენთვის დიდათ საინ-
ტერესო არის ორის მხრით, ერთი
მით, რომ ეს წიგნები დაბეჭდილია
დაბა ხაშურში, სადაც კარგა ხანია
გასული მას შემდეგ, რაც იოსებ ყა-
ჭეიშვილის სტამბის მოშლის შემდეგ
ხაშურში აღარაფერი დაბეჭდილა. მე-
ორე გახლავსთ ის გარემოება, რომ
ამ წიგნების დამწერი არის შეგნებუ-
ლი ოსი.

ანტონ ბიბილოვი დიდის პატივის-
ცემით და სიხარულით აღნიშნავს საქ-
ართველოს განთავისუფლებას, და
მის დამოუკიდებლობის გამოცხადე-
ბას, იგი დიდის პატივისცემით მოი-
ხსენიებს საქართველოს და ქართველ
ერს, ამ ერს იგი სთვლის კავკასიის
ტომებთა შორის პირველ ერათ, რომ-
ლებმაც პირველათ ამოიღეს ხმა სა-
ქართველოს და მთელი კავკასიის თა-
ვისუფლების შესახებო.

ამიტომ ანტონ ბიბილოვი დალა-
გებით ურჩევს და მოუწოდებს ქართ-
ლში მცხოვრებთ ოსებს და საქარ-
თველოს მოსამზღვრე სომხებს, რომ
მათ საქართველოს მტრობას თავი
დაანებონ და ქართველებს ხელი შე-
უწყონ, რათა საქართველოს ერი გა-
ძლიერდეს და ამაღლდეს.

ანტონ ბიბილოვი გმობით აღნიშ-
ნავს ოსებისა და სომხების ღალატს
საქართველოს მთავრობის წინაშე.
მათს საქციელს საზიზღრათ სთვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოუწოდებს მათ, რომ ამიერიდან მტრობასა და ბოროტებას თავი ანებონ.

დასასრულ ანტონ ბიბილოვი ამბობს: საქართველოს მტრები თავიანთ ბოროტების გასამართლებელ საბუთათ იმას იხმარენ ხელზედ, რომ საქართველოს დემოკრატიული პარტია ნაციონალური იდეის პარტიაა და არა დემოკრატიული, და ჩვენც მიტომ ვმტრობთ მასო.

ეს უსამართლო თავის მართლება არია. ვსთქვათ თუნდა ეს ასეც არის და საქართველოს მთავრობა ნაციონალურს გზას ადგიაო, მერე აქ რა არის დასაგმობიო.

ამიტომ საქართველოს კიცხა და მტრობა უსამართლოთ უნდა ჩაითვალოსო.

ზ. ჭ.

თეატრი და ხელოვნება.

შაბათს ქალაქის თეატრში სუმბათამვილის „ღალატი“ დაიდგა. ეს საკმაოდ ცნობილი პიესა არის, და ამიტომ მისი შინაარსის და სიმბოლიური აზრების განმარტებაც ზედმეტათ მიგიჩნიეთ. ეს პიესა ძველი და დიდ მნიშვნელოვანია. ასეთ შემთხვევებში დაშფასებელი მხოლოდ შესრულების მხარეს უნდა შეეხოს. მე დიდხანს არც აქ გავჩერდები, და მოკლეთ ვიტყვი, რომ მსახიობების მხრივ პიესა საშუალოზე კარგად იყო შესრულებული, (მათი დეკორაციების მიხედვით). ამ საღამოს კარგი იყვენ თვით მეორე ხარისხოვანი მსახიობებიც.

აქ მე მხოლოდ ორ გარემოებას მინდა მივაქციო ყურადღება.

ქანდარის საზოგადოებას, და სუფლიორს.

ხშირათ ქანდარის საზოგადოების ერთი ნაწილი, აჯანყებული მონებს უფრო მ�გაგონებსთ, ვიდრე პიესის მაყურებელთ.

განა შესაძლებელია ადამიანმა გამოიტანოს რაიმე შთაბეჭდილება თეატრიდან, როცა სცენაზე ნორმალურის ტემპით პიესა მიმდინარეობს, მხოლოდ ქანდარაზე რომელიც პარტერს არის გადმომჯდარი, ბუტოლიუცია სწარმოებს?

ამ საღამოს ქანდარის [illegible] ღმა აფოთებელი იყო.

დარბაზის სიწყნარე ყოველთვის ხელს უწყობს მსახიობთ, პირნათლად შეასრულონ დაკისრებული როლი. მაგრამ როცა მის გრძნობათა ექსტაზში ბრბოს ხმაურობა იჭრება, არც არტისტს მოეთხოვება ის, რასაც მას ნორმალურ განწყობილებაში მოვთხოვთ. თუ დრამატიული საზოგადოება ერის განვითარების იდეას ემსახურება, და თუ სპეკულიანტური [illegible] ... [illegible] ... ... [illegible] ... ... [illegible] ...